



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

რუსული ენა და ლიტერატურა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: რუსული ენა და ლიტერატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ინგა კიკვიძე – აწსუ სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
ტელ.: 26-76-73; 599-20-63-04;

E-mail: ingakikvidze@rambler.ru

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: ძირითადი (Major)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

Bachelor of Humanities in Philology

პროგრამის მოცულობა:

აკადემიური ხარისხის მისაღებად ბაკალავრიატის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 ECTS კრედიტი. საუნივერსიტეტო საგნებისა და ძირითადი სპეციალობის საგნების კრედიტთა ჯამი შეადგენს 180 კრედიტს. 60 კრედიტი კი სტუდენტმა უნდა დააგროვოს მის მიერ არჩეული მეორადი პროგრამის (minor) საშუალებით.

საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა 3 კატეგორიას მოიცავს:

პროგრამის სავალდებულო კურსები - 145 კრედიტი

პროგრამის არჩევითი კურსები - 25 კრედიტი

თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი

დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები – 60 კრედიტი

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

რუსული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი, ან მისი ექვივალენტური განათლების მქონე და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელი პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სავალდებულოა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით განსაზღვრული ექვივალენტური დოკუმენტის არსებობა.

პროგრამის მიზანი:

პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ჰუმანიტარული განათლების მქონე სპეციალისტი-ფილოლოგი რუსული ენისა და ლიტერატურის განხრით; მისცეს მას რუსული ენისა და ლიტერატურის მრავალმხრივი ცოდნა, გააცნოს მას რუსული ენისა და ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები; გამოუმუშაოს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, განუვითაროს მას კრიტიკული აზროვნება, რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე.

სწავლის შედეგი და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები

- **ცოდნა და გაცნობიერება**

პროგრამის კურსდამთავრებულს ეცოდინება რუსული სალიტერატურო ენა (მინიმუმ, B 2 დონეზე); გაცნობიერებული ექნება რუსული ენის ფუნქციონალური მრავალფეროვნება, მისი ფონეტიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმები; ექნება წარმოდგენა რუსული ენის სისტემასა და სტრუქტურაზე; გააზრებული ექნება რუსული ენის კავშირი სხვა ენებთან და მისი ტიპოლოგიური თავისებურებები, ეცოდინება მისი ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა;

ეცოდინება რუსული ლიტერატურა, მისი განვითარების ისტორია, გაცნობიერებული ექნება მისი ადგილი და როლი მსოფლიო კულტურაში, ლიტერატურული პროცესების კანონზომიერებები;

აღჭურვილი იქნება ფილოსოფიის, კლასიკური ფილოლოგიის, ქართული ფილოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიულ მეცნიერებათა თეორიული საფუძვლების ცოდნით.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებულს ექნება რუსულ ენაზე მეტყველების (როგორც ზეპირად, ისე წერილობით), დიალოგის წარმართვის, საკუთარი აზრის ნათლად და დეტალურად გადმოცემის უნარი;

სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის მშობლიურ და რუსულ ენაზე გამოყენების უნარი;

სპეციალური ტექსტების თარგმნის უნარი როგორც რუსული ენიდან მშობლიურ ენაზე, ისე პირიქით, ასევე ამ ტექსტების რეფერირებისა და რედაქტირების უნარი;

ექნება ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული ანალიზის უნარი საზოგადოებრივ სიტუაციასა და ეპოქის კულტურასთან კავშირში;

კურსდამთავრებული შეძლებს ინფორმაციის მოპოვებას და დამუშავებას ქართულ და რუსულ ენებზე, საკუთარი ცოდნის მობილიზებას და მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებას.

- **დასკვნის უნარი**

კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ფილოლოგიური მასალის კრიტიკულად გააზრება-გაანალიზების უნარი, იგი შეძლებს ენისა და ლიტერატურის მოვლენებისა და ფაქტების დაკავშირებას, ფილოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებული განსხვავებული პოზიციების გაანალიზებას და ამის საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გაკეთებას.

- **კომუნიკაციის უნარი**

ექნება რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარი სამეტყველო სიტუაციის ფაქტორების ერთობლიობისა და სალიტერატურო ნორმების გათვალისწინებით როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით; დაუფლებული იქნება საუბრის ხელოვნების საფუძვლებს.

• **სწავლის უნარი**

კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება დადებითი დამოკიდებულება სწავლის პროცესისადმი, სწავლის გაგრძელების სურვილი საკუთარი ცოდნის მუდმივი თანმიმდევრული სრულყოფის მიზნით;

იგი შეძლებს საკუთარი კომპეტენციის გაანალიზება/შეფასებას რუსული ენისა და ლიტერატურის სფეროში;

გამომუშავებული ექნება შესასწავლი საგნის ასათვისებლად საჭირო სტრატეგიული უნარები - დაგეგმვის, ეტაპებად დაყოფის, სირთულეების განსაზღვრის, ხარვეზების გაანალიზებისა და აღმოფხვრის.

• **ღირებულებები**

გაცნობიერებული ექნება საკუთარი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე; მას ჩამოუყალიბდება პატივისცემის გრძნობა ჰუმანიზმის, ქართული, რუსული და ზოგადად მსოფლიო კულტურული ღირებულებების მიმართ;

განუვითარდება პატივისცემის გრძნობა მასზე დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად შესრულების მიმართ;

კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება პოზიტიური დამოკიდებულება თავისუფალი აზროვნებისადმი, სხვათა შეხედულებებისადმი პატივისცემის გრძნობა.

საგნები	დარგობრივი კომპეტენციები	ზოგადი კომპეტენციები						წინაპირობა
		ცოდნა, გაცნობ.	ცოდნის პრაქტ. გამ.	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები	
შესავალი რუსულ ფილოლოგიაში	+	+		+			არ გააჩნია	
შესავალი ფილოსოფიაში	+	+				+	არ გააჩნია	
შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	+	+	+	+	+	+	არ გააჩნია	
ენათმეცნიერების შესავალი	+	+	+	+			არ გააჩნია	
ლიტმცოდნეობის შესავალი	+	+	+	+			არ გააჩნია	
ზოგადი ენათმეცნიერება	+	+	+	+			ენათმეცნიერების შესავლისა და რუსული თეორიული გრამატიკის ცოდნა.	
რუსული ენა 1	+	+	+	+	+		არ გააჩნია	
რუსული ენა 2	+	+	+	+	+		რუსული ენა 1	
რუსული ენა 3	+	+	+	+			რუსული ენა 2	
რუსული ენა 4	+	+		+	+		რუსული ენა 3	
რუსული ენა 5	+	+		+			რუსული ენა 4	

რუსული ენა 6	+	+		+	+		რუსული ენა 5
რუსული ენა 7	+	+		+			რუსული ენა 6
რუსული ენა 8	+	+	+	+	+		რუსული ენა 7
ქვეყანათმცოდნეობა	+	+					არ გააჩნია
რუსული ენის ისტორიული გრამატიკა	+	+	+	+			არ გააჩნია
თანამედროვე რუსული ენა (თეორიული კურსი) 1	+	+	+	+	+		არ გააჩნია
თანამედროვე რუსული ენა (თეორიული კურსი) 2	+	+	+		+		თანამედროვე რუსული ენა (თეორიული კურსი) 1
რუსული სალიტერატურო ენის ისტორია	+	+					არ გააჩნია
რუსული და ქართული ენების შეპირისპირებითი გრამატიკა	+	+	+		+		არ გააჩნია
რუსული ლიტერატურის პროპედევტიკული კურსი	+	+	+		+	+	არ გააჩნია
ძველი რუსული ლიტერატურის ისტორია	+	+	+		+	+	კლასიკური ფილოლოგია, ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი
მე-18 ს. რუსული ლიტერატურის ისტორია	+	+	+		+	+	ძველი რუსული ლიტერატურის ისტორია
მე-19 ს. I ნახ. რუსული ლიტერატურის ისტორია	+	+	+		+	+	XVIII საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორია
მე-19 ს. II ნახ. რუსული ლიტერატურის ისტორია 1	+	+	+		+	+	XIX საუკუნის I ნახევრის რუსული ლიტერატურის ისტორია
მე-19 ს. II ნახ. რუსული ლიტერატურის ისტორია 2	+	+	+		+	+	XIX საუკუნის I ნახევრის რუსული ლიტერატურის ისტორია
მე-20ს. რუსული ლიტერატურა	+	+	+		+	+	XIX საუკუნის II ნახევრის რუსული ლიტერატურის ისტორია
მხატვრული ტექსტის ანალიზი	+	+	+		+	+	არ გააჩნია
პოლონური ენა	+	+	+	+			არ გააჩნია
თარგმნის თეორია და პრაქტიკა	+	+	+				რუსული ენა 2
სლავური ენების შედარებითი გრამატიკა	+	+					არ გააჩნია
სლავური ლიტერატურები	+	+	+		+	+	არ გააჩნია
მეორე უცხო ენა 1	+	+		+			არ გააჩნია
მეორე უცხო ენა 2	+	+		+			არ გააჩნია
მეორე უცხო ენა 3	+	+		+			არ გააჩნია
ინფორმაციული ტექნოლოგიები	+	+	+	+	+	+	არ გააჩნია

დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებული შემდეგს განახორციელოს პრაქტიკული საქმიანობა სახელმწიფო და არასამთავრობო საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურების დაწესებულებებში, კერძოდ, საგანმანათლებლო, კულტურის, მართვის, საგამომცემლო, დაწესებულებებში; საინფორმაციო საშუალებების, კულტურული ურთიერთობების, სოციალურ-ჰუმანიტარულ და ბიზნესის სფეროებში.

სასწავლო გეგმა

კურსი	სკ	ლქ/პრ/დამ/გამ.	ECTS	სემესტრები								
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
პროგრამისათვის სავალდებულო კურსები (145 კრედიტი)												
შესავალი ფილოსოფიაში	2	30/15/14,5/3	2,5	2,5								
შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	4	30/30/62/3	5	5								
აკადემიური წერა	2	15/15/29,5/3	2,5	2,5								
შესავალი რუსულ ფილოლოგიაში	2	15/15/92/3	5	5								
ენათმეცნიერების შესავალი	3	30/15/77/3	5		5							
ლიტმცოდნეობის შესავალი	3	30/15/77/3	5		5							
ზოგადი ენათმეცნიერება	3	30/15/77/3	5						5			
რუსული ენა 1	7	0/105/142/3	10	10								
რუსული ენა 2	9	0/135/112/3	10		10							
რუსული ენა 3	8	0/120/127/3	10			10						
რუსული ენა 4	8	0/120/127/3	10				10					
რუსული ენა 5	5	0/75/47/3	5					5				
რუსული ენა 6	5	0/75/47/3	5						5			
რუსული ენა 7	5	0/75/47/3	5							5		
რუსული ენა 8	5	0/75/47/3	5									5
რუსული ენის ისტორიული გრამატიკა	3	15/30/77/3	5					5				
თანამედროვე რუსული ენა (თეორიული კურსი) 1	2	15/15/92/3	5						5			
თანამედროვე რუსული ენა (თეორიული კურსი) 2	3	30/15/77/3	5							5		
რუსული და ქართული ენების შეპირისპირებითი გრამატიკა	2	15/15/92/3	5									5
რუსული ლიტერატურის პროპედევტიკული კურსი	2	0/30/92/3	5		5							
ძველი რუსული ლიტერატურის ისტორია	2	0/30/92/3	5			5						
მე-18 ს. რუსული ლიტერატურის ისტორია	2	22/8/92/3	5				5					
მე-19 ს. I ნახ. რუსული ლიტერატურის ისტორია	3	22/23/77/3	5					5				

მე-19 ს. II ნახ. რუსული ლიტერატურის ისტორია 1	3	30/15/77/3	5						5		
მე-19 ს. II ნახ. რუსული ლიტერატურის ისტორია 2	3	30/15/77/3	5							5	
მე-20ს. რუსული ლიტერატურა	3	30/15/77/3	5								5
არჩევითი კურსები (25 კრედიტი)											
არჩევითი კურსი – 1			5	5							
ქვეყანათმცოდნეობა	2	15/15/92/3									
ინფორმაციული ტექნოლოგიები	3	15/30/77/3									
არჩევითი კურსი – 2			5		5						
მხატვრული ტექსტის ანალიზი	2	15/15/92/3									
II უცხო ენა 1	5	0/75/47/3									
არჩევითი კურსი – 3			5			5					
პოლონური ენა	2	15/15/92/3									
II უცხო ენა 2	5	0/75/47/3									
არჩევითი კურსი – 4			5				5				
თარგმნის თეორია და პრაქტიკა	2	15/15/92/3									
რუსული სალიტერატურო ენის ისტორია	2	15/15/92/3	5								
II უცხო ენა 3	5	0/75/47/3									
არჩევითი კურსი – 5			5					5			
სლავური ენების შედარებითი გრამატიკა	2	15/15/92/3									
სლავური ლიტერატურები	2	15/15/92/3									
თავისუფალი კრედიტები (10 კრედიტი)											
თავისუფალი კრედიტი	3		10							5	5
დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები			60			10	10	10	10	10	10
სულ			240	30	30	30	30	30	30	30	30

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში **ლქ/პრ/დამ/გამ.** -
 ლექცია/პრაქტიკული/დამოუკიდებელი/გამოცდა

სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი:

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია ხდება აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მეშვეობით სასწავლო კურსების პროფილის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი კაბინეტებით, აუდიტორიებით, კომპიუტერული ცენტრებით; სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული).